ᲛᲝᲠᲬᲛᲐ

სურათებიანი დამატება

დამატების № 23. **ქვირა, 25 ივნისი, 1906 წ.** **გაზეთის № 65**

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲔᲚᲜᲘ.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(დასასრული)

VII

თავისუფლება ან სიკვდილი!

დუქნიდან რომ გამოვედით, სხვა სანახავი გადაგვეშალა თვალ-წინ: მოდიოდა ერთი დედა-კაცი და უწყალოდ სცემდა დაფს, მეორეს წითელი არხჩინით მოჭქონდა შუბზე აგებული ადამიანის თავი; ამათ მისდევდა ჯგუფი მთვრალ ხალხისა და მღეროდა კარმანიოლას.

შეეხედე ამ შუბზე აგებულ თავს და გული გადმომიტრიალდა, ეს მშვენიერი ქალის თავი იყო. უნებლიეთ ადელინა მომაგონდა. უჩვენოთ ხომ უბედურება არა დაემართა-რა. რომ დამემალა ჩემი მღელვარება, დავიწყე სიმღერა, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და ტირილი დავიწყე.

— რა დაგემართა?—მკითხა მორგანმა,—რა გატირებს? ღვინომ ხომ არ დაგაღონა?

იმანა და პელლუმ დამიწყეს ხუმრობა და ძალათი მაცეკვავეს დაფის ხმაზე.

ბოლოს გავედით ბოლოდანზე, სადაც მაღალი კოშკი იყო. აქ ბრბო შედგა და მუშტის ქნევით დაიყვირა:

— შენც ასე გიზამთ, კაპეტ, შენც ავსტრიელო!

იმ დედაკაცმა, რომელსაც შუბით თავი მიჰქონდა, კოშკის სარკმლის პირდაპირ ძაღლა ასწია შუბი, რომ იქ შეეყურებინა.

პელლუც კი შეძრწუნდა ამ სურათის დანახვაზე და გვითხრა:

— როგორღაც ყელი მეწვის, კიდევ დავლიოთ.

— დავლიოთ!—მივუგეთ ჩვენ.

შევედი ი დუქანში და ბოთლი ბოთლზე გადავკარით—ხან წითელი და ხან თეთრი ღვინო, მერე მოგვშივდა, ერბო-კვერცხი ვჭამეთ და ისევ სმა დავიწყეთ. ვსვით ბინდამდის.

თავბრუ დამეხვა და აღარ მესმოდა სად ვიყავი. ავინიონში მეგონა ჩემი თავი, პელლუ, ვოკლერი და შეუსვენებლად ვყბედობდი. მერე აღარა მახსოვს-რა. ამხანაგებმა მიამბეს, რომ ჩვენ საცალა შევედით გაჩაღებულ სახლში, რომელიც თეატრი იყო. იქ ერთი მსახიობი ქალი მოგვეწონა და ისეთი შეურაცხოფა მივაყენეთ, რომ ხალხი აღელდა და იძულებულნი გავხდით წამოვსულიყავით თეატრიდან.

— გამიგონეთ, —გვითხრა მორგანმა,—რომელიც ძლივსღა იდგა ფეხზე,—წავიდეთ აი იმ სანათთან, გუშინ იმ ბოძზე ერთი არისტოკრატი ჩამოახრჩვეს, იქ ახლო მდინარეა.

მართლაც საჩქაროდ წყლის პირს მივედით. სიმღერა დავიწყეთ, გავიარეთ ხიდი და გვეგონა გვეშველა, მაგრამ ისევ დავიკარგენით ბნელ და ვიწრო ქუჩებში.

— არა გვიშავს-რა—გვითხრა პელლუმ:—მგონია ახლო უნდა ვიყოთ ჩვენ სახლზე. აგერა სინათლე: ეს სანათია ყაზარმისა.

წავედით სინათლისკენ, ხმაურობა ისმოდა.

— რო გითხარით, ჩვენი ყაზარმებია-მეთქი. ხედავთ, როგორ მხიარულობენ ჩვენები!

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ

Ა. ᲐᲚᲐᲓᲘᲜᲐ,
სიმბირსკის გლეხობის წარმომადგენელი.

Ი. ᲧᲘᲓᲙᲘᲜᲐ,
ᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ.

ფუნდამენტალ. ბიბლიოთ. ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რობილ მეფეს და მის ოჯახობას კარგად დაენახათ ეს ნაშინელი სანახავი.

ახლოს რომ მივეჯით, ვნახეთ, რომ შეცდენ.

— არა უშავს-რა,—კიდევ გვითხრა პელლუმ,—შევიდეთ, ვნახოთ, რა ამბავია. კარი ღია და შესვლაშიაც არასა გვთხოვენ.

შესავალში ორი კაცი შეგვხვდა, ამათ მესამე მოჰყავდათ.

*) იხილე დამატება № 21.



ლუციფერი.—თერეზა რისის ქანდაკება.

— ეს დუქანი იქნება,—შენიშნა მორგანმა:—ალბად ამ ორს მთვრალი ამხანაგი მიჰყავთ სახლში. ეს პარიზელები არაფერი შვილები არიან, ძალიან ჩქარა ეკიდებათ ღვინო.

შეეედით დერეფანში, სადაც მრავალი კაცი და ქალი ირეოდა ხმლებით, შუბებით და რკინის კეტებით. ყველანი ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ და შესცქეროდნენ დერეფნის ბოლოს, სადაც მაგიდასთან იჯდა სამი პარიზელი წითელის არაჩჩინებით და პირქუში მსაჯულის სახით. ბოთლში ჩარჭობილი სანთელი უნათებდა ამ უცნაურ სურათს.

მაგიდასთან მოსჩანდა განიერი კიბე, საიდანაც ჩამოჰყავდათ გადაფითრებული მღვდელი საპყრობილის ორ მცველს როგორც მივიდა მღვდელი მაგიდასთან, ერთმა მკაცრის ხმით უთხრა:

— მაგან უარი სთქვა ფიცზე! სიკვდილი მაგას!

იმავე წამს დაუშინეს მღვდელს ხმლით და რკინის კეტით. ერთის წუთის შემდეგ იმისი გვამი გაათრიეს გარედ.

ამ საშინელმა სანახავმა უცბად გამომაფხიზლა. მე წინ წავდექი, რომ უკედ დამენახა, რა ხდებოდა იქ. მაგრამ ხალხს ვეღარ გავაღწიე, დავშორდი ჩემ ამხანაგებს და იმ საზიზღარ და ბოროტ ხალხს შუა მოვყევი.

ამ დროს კიბიდან ჩამოიყვანეს ლამაზი ყმაწვილი ქალი, რომელიც ვედრებით ეუბნებოდა:

— შემიბრალეთ! შემიბრალეთ!

ძალიან შემებრალა საწყალი და ჩემს თავს ვეკითხებოდი ნუ თუ მოჰკლავენ? იმავე წამს სამი გაცოფებული დედაკაცი მიჰვარდა და ნაკუწ ნაკუწად გაგლიჯა. იქვე მდგომი საეროვნო გვარდიელი შველოდა კიდეც ამ საშინელ საქმეში.

ჯერ გონს არ მოვსულიყავ ამ შემაძრწუნებელ სანახავით, რომ მომესმა ნაცნობი ხმა მოხუცისა:

— ოჰ, სურტო, ეს შენა ხარ? დამიხსენ, მიშველე. მაგრამ გვარდიელმა შველის მაგიერ რკინა დაჰკრა მოხუცს და იქვე მოჰკლა, ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი, ეს წამდვილად სურტო იყო და ამ უკეთურმა თავის ბატონი ამბრენი მოჰკლა.

ვეღარ მოვითმინე, გადივედი წინ და დავიყვირე:

— შეიპყარეთ ეს! ანტიპატრიოტია, კაცის მკვლელი!

ისინი პირ იქით მეუმოცვივდნენ, მიმათრიეს მაგიდასთან და იძახოდნენ.

— შენ თითონ არისტოკრატი ხარ, მოღალატე! სიკვდილი ამას! სიკვდილი!

საბედნიეროდ ერთს მსაჯულთაგანს შევებრალე, მომხვია ხელი და დამიფარა ამ აფთარ კაციჭამიებისგან. როდესაც მღელვარება შენელდა, მკითხა: ვინ ვიყავ მე, საიდან და რად წავესარჩლე ხალხის მტერს.

— ფედერალისტი, პატრიოტი მარსელელ ბატალიონიდან —მივუგე მე.

— სიკვდილი მაგას! სიკვდილი მაგას! —დაიყვირა ყველამ და ვეღაცამ ჯიბეში ხელი ჩაჰიყო, ამოიღო ქაღალდი და სთქვა:

— აი რა ვიპოვეთ! აი ამის დასამტკიცებელი საბუთი!

მსაჯულმა გამოართვი. ეს წერილი იყო რანდულესაგან ჟოსსერენთან მოწერილი.

სრულმა სიჩუმემ მოიცვა იქაურობა. მსაჯულმა წაიკითხა წერილი და წარბები შეიჭმუხნა. მე ვგრძნობდი, რომ ვიღუპებოდი და სასოწარკვეთილმა დავუწყე ძახილი მორგანს და პილლუს, მაგრამ ისინი საღღაც გამქრალიყვნენ. უეჭველია რომ ვეღარ მნახეს, ჩემ საძებნელად წავიდნენ.

— სიკვდილი მაგას! სიკვდილი მაგას!—ისევ დაიწყეს ხმაურობა და ყოველი მხრიდგან მემუქრებოდეენ.

მოულოდნელად ვეღაცამ ხმა აიმაღლა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! სინამდვილეს აგიხსნით, ვფიცავ ღვთაებს, რომლის წინაშე ეხლა წარვსდგები.

ამას ამბომდა ერთი დამნაშავე, რომელიც იმათ განჩინებას ელოდა.

— საწყალი ბიჭი, —განაგრძო იმან:—ეს სწორედ ფედერალისტია მარსელელ ბატალიონიდან. ეს ჩემზე გამოვსცადე. მაგინ გამცა საეროვნო ჟანდარმებთან არდიერის ხიდთან, მაგრამ ვაპატიე, რადგან თავისი მოვალეობა აასრულა და პატიების ნიშნად ხატი ვაჩუქე. მაგას შეუძლიან ჩემი სიტყვების სიმართლე დაგიმტკიცოთ.

ამ რიგად დამისხნა მენტის ეპისკოპოსმა, რომელიც გზაზედ შემხვდა. მე ვაჩვენე მსაჯულებს პატარა ხატი.

ერთმანეთში მოილაპარაკეს და ერთხმივ სთქვეს:

— მართალია, ეს ყმაწვილი მარსელელი პატრიოტია!

— მაშ წადი ჩქარა შენ ბატალიონში! —მითხრა ჩემს გვერდით მდგომმა დედაკაცმა, დამიჭირა ხელიდგან და გამიყვანა გასავლთან,

მინდოდა, მადლობა გადამეხადნა მღვდლისთვის, მაგრამ რომ მივიხედე, მკვდარი დაეცა. მე შეშინებული გამოვვარდი დერეფნიდან, სურტო აღარსადა სჩანდა, უეჭველად მარკიზასთან და ჟაკრასთან გაიქცეოდა, რომ გაეხარებინა თავის მხეცურ გამარჯვებით.

ქუჩაში თავისუფლად ამოვისუნთქე და დავუფიქრდი ჩემს თავს. მინდოდა ანგარიში მიმეცა, რა მოხდა ამ შესანიშნავ დღეს. სრულიად გამოვფხიზლდი, მაგრამ მრცხვენოდა ჩემის

თავისა. რა რიგად უნდა მეთქვა ჩვენებისთვის, რომ მთელი დღე ვლოთობდი, უცაბედად ვიპოვე მარკიზი ამბრენი, რომელიც ჩემს თვალ წინ მოჰკლეს და არც კი გამოვესარჩლე რომ შეიტყონ, იქნება ზურგი შემომაქციონ და სახლიდანაც გამომაგდონ.

ამ ფიქრით შეუმჩნეველად ორივე ხელი ჯიბეებში ჩავიყავ. ჯიბეში აღარ მქონდა არც ყაზარმაში მოცემული ფული, აღარც კეთილ სანდულისა და მენტის ეპისკოპოსისაგან ნაჩუქები. ეს ფული ხომ ჩემი ხომ არ იყო, ვოკლერისთვის უნდა მიმეცა, მთელი ექვსი თვე შემინახა. რა ვქენ, რა? ვოკლერი ლოთად და ქურდად ჩამთვლის, ლაზული და ადელინა ლაჩარს დაჩიძახებენ. არა, იმათთან ველარ დავბრუნდებოდი! აბა, რისთვის გამომესარჩლა ეპისკოპოსი, იქ ძაღლივით ჩამაღრძობდნენ — ღირსიც ვიყავ.

ცრემლები ღაპა-ღუპით გადმომდიოდა, არას დროს ასეთი უბედური არ ვყოფილვარ. აქ ფიქრად მომივიდა მომეკლა ჩემი თავი. ახლა რომ წყალში გადავარდე, არავინ არ შეიტყობს ჩემს ამბავს და ჩემი კეთილის მყოფნი და საყვარელნი ყოველთვის კეთილად მომიგონებენ. ამ დროს შემოხვევით სენას მივადექ. აღარა მიშლიდა-რა ჩემი განზრახვა სისრულეში მომეყვანა. ის იყო, უნდა წყალში გადავარდნილიყავ... უცბად შევდექი. ეს რა ამბავია? ყური დავუგდე.

გაღმა სასახლესთან დაფს ხმა ისმოდა. რა მოხდა? მარსელელი ბატალიონი მიდიოდა პარიზიდან? არა... მეფის მომხრენი ხომ არ სცდილობენ ჩვენ მიერ აღებულ სასახლეში ისევ დაებინავებინათ ის მტარვალი?

ეს რომ აზრად მომივიდა, გადავიფიქრე სიკვდილი და ს.ჩქაროდ სახლისკენ გავიქეცი. იქ აი რა ვნახე: ხის ესტრადაზედ იდგა სამი პატრიოტი: ერთსა სამფერი დროშა ეჭირა მეორეს — ფარი — ზედ წარწერით „სამშობლო განსაცდელშია“, მესამეს — წიგნი, რომელშიაც ეწერებოდნენ ისინი ვისაც სურდა შესვლა რევოლიუციონერთა ჯარში.

მთელი ბრბო ყმაწვილ კაცებისა, ჩემოდენა ბიჭებისა და ჭაღარა კაცებისა მიდიოდა ამ სამშობლოს ამბიონთან, ასახელებდა თავის თავს და მით თავის სიცოცხლეს ადა თავს მსხვერპლად სწირავდა სამშობლოს. შემდეგ აღტაცებულის ყვირილით „გაუმარჯოს ეროვნებას“-ო მიდიოდნენ ფელთფებელთან, რომელიც ურიგებდა თოფებს და ტყვიას, ადგენდა ჯარს და ჰგზავნიდა პირდაპირ საზღვარზე, სადაც „ნამდვილი შვილნი საფრანგეთისა იცავდნენ სამშობლოს უცხოელთა მოსევისაგან.

„სამშობლო განსაცდელშია და მე კი აქა ვლოთობ!“ — ვიფიქრე და მივედი ჯარში ჩასარიცხად.

ხმა მაღლა ვუთხარი ჩემი სახელი და მინდოდა მეც სხვებთან მივსულიყავ, მაგრამ ერთმა პატრიოტმა შემაჩერა და მკითხა: — დაიცადე, მოქალაქე, აი წაიღე თვის ჯამაგირი. თუ არა ვცდები, შენ ჩემ მეზობელ პლანშოსთან დგეხარ.

თვალები ამიპრელდა და ცრემლი მომერია, მაგრამ, აბა, მარსელელი ფედერალისტი ტირილს ხომ არ მოვყვებოდი პარიზელთან, თავი შევიკავე და ვუპასუხე:

— მართალსა ბძანებთ. ჩვენ მეზობლები ვართ. გთხოვთ, გადაეცით ჩემ მიერი მოკითხვა და პატივისცემა ვოკლერს და მთელს სახლობას, ეგ ფულიც იმას მიეცით. უბრძანეთ, რომ ჰასკალ დიდს მადლობას უძღვნის სიკეთისთვის და დაბრუნებაკი არ შეუძლიან სახლში, რადგან სამშობლო განსაცდელშია.

ხელმეორედ დაჭრეს დაფი. მზის პირველმა სხივებმა მოჰფინეს გაღმა მდინარის ნაპირი. ჯარი დაიძრა ჩრდილოეთის საზღვრისაკენ მეც იმ ჯარში ვიყავი.

ერთის წლის შემდეგ სწორედ ამავე დღეს, ესე იგი 16 ფრუქტიდორს რესპუბლიკის მეორე წლისას ისევ პარიზში ვიყავ ჩემის როტით. ჩვენ ვიბრძოდით ვალმასთან რეინის ნაპირებზე და ჰოლანდიის ჭაობებში იმ დრომდე, სანამ უკანასკნელი პრუსიელი განვდევნეთ საფრანგეთის სამფლობელოდან. გადავწყვიტეთ, რომ ორიოდე დღეს პარიზში შევისვენებდით და მერე იტალიელ რაზმს შევუერთდებოდით. ამ დღეს დარაჯად დამნიშნეს გილიოტინაზე, რევოლუციის მოედანზე.

თოფით ხელში ვიდექი ეშაფოტზე. მეტად შემზარა დასჯილთა თავის კვეთამ და ხალხის ბრბოს ვაშტერდებოდი, რომ ამ საშინელებისათვის თვალი ამეცდინა.

დაჭრილი თავები ზედი-ზედ ცვიოდა და მოჭყავდათ და მოჭყავდათ ახალი მსხვერპლნი; ზოგი ამაყად ხვდებოდა სიკვდილს და ზოგი კი გაფითრებული მთლად ცახცახებდა.

ბოლოს გამოჩნდა უკანასკნელი ურემი. ამაში იჯდა ორი დედაკაცი და ერთი კაცი, რომელმაც ჩემს დანახვაზედ თვალები დახუჭა. სისხლი ამივარდა თავში. ეს აფთარი სურტო იყო, ხოლო იმის გვერდით მარკიზა ადელიდა და ქოფაკი ჟაკრასა. ამ ჟამად კი გილიოტინა სამართლიან საქმეს ასრულებდა. თვალი არ მომიშორებია მათთვის.



ალქაჯი. — თერეზა რისის ქანდაკება.

ამოვიდნენ ეშაფოტზე: სურტოს მუხლები ეკეცებოდა, მარკიზამ რაღაც ლოცვა წაიდუდუნა, ქოფაკი ჟაკრასა კი გაჭიოდა ღორივით, რომელსაც საყასბოზე მიათრევენ. მინდოდა, მომეგონებინა მათი დანაშაული, მაგრამ ხმა ველარ ამოვიღე. ამ ღროს სამივემ მაღლა აიხედეს და მარკიზამ კვნესით ჩაიჩოქა. მე თითონ შევკრთი, მაგრამ მახვილის დანა-

ხვით კი არა,—ბოძზედ დიდის ასოებით იყო დაწერილი: „ადელინა“.

სამჯერ დაეშვა მახვილი და სამი თავი ერთი-ერთმანეთზედ ჩავარდა ნახერხით სავსე კალათაში.

—

— ახია!—წამოიძახა მეჩექმის ცოლმა და სიტყვა შეაწყვეტინა პასკალს:—ვნანობ, რომ ვერ ვნახე ის სამართლიანი სასჯელი. საფიქრებლადაც საშინელია, რომ დედაკაცმა მოაკვლევინოს ქმარი, ვაჟიშვილი და ქალი ხელთ ჩაუგდოს დასაღუპად აფთარ დედაკაცს.

— სურტო რაღაა,—სთქვა მატერონმა,—ოჰ, რა შეჩვენებულია! მაგრამ მაშინ ბევრნი იყვნენ იმისთანები და სცილობდნენ მაგგვარ საზიზღრობით სიმდიდრე მოეხვეჭათ.

— ბედის წერამ ინება, რომ ყოველივე ისე მომხდარიყო!—სთქვა პაპამ და ბოთლი გახსნა.

— საფრანგეთი მაშინ ჰგავდა ხეს, რომელსაც მყნობა უნდა,—შენიშნა მატერონმა.

მეჩექმის ცოლმაც ახადა წაბლს და ყველამ სიამოვნებით დაუწყო ჭამა.

— პასკალ!—წამოვიძახე მე მოწიწებით.

— რაო, ბიჭუნი?

— მას შემდეგ ადელინა აღარ გინახავთ?

— აღარასდროს. ხომ გითხარით, რომ იტალიელ რაზმში ჩავირიცხე გენერალ ბონაპარტთან, რომელიც შემდეგში იმპერატორი გახდა, ნაპოლეონ დიდი. ნაპოლეონის ყოველ ომს დავესწარ და მონაწილეობა მივიღე. მასთან ერთად ჩვენ დავიპყარით იტალია, ეგვიპტე, ავსტრია, პრუსია, გერმანია, ესპანია და რუსეთი. მასთანავე ჩემი ხმალი ვლესე იაფას კედლებზე, ვჭამე ლეღვი სარაგოსისა და გამოვიკვებე ცხენის ხორცით მოსკოვში. ვატერლოს ბრძოლაში საღამომდის დიდ ნაპოლეონს მივდევდი, იმ საღამოს კი მოღალატე ერმა გასცეს და ნაპოლეონი გაჰქრა... მაგრამ ნუ გეშინიათ ისევ დაბრუნდება. რაც შეეხება ადელინას, მუდმივ იმაზედ ვფიქრობდი, მხოლოდ ერთხელ შევიტყე მისი ამბავი. მესამე ტერმიდორი იყო მეექვსე წლისა. ის იყო დავამარცხეთ მამელიუკის ცხენოსანი ჯარი ეგვიპტის პირამიდებთან ერთ პირამიდას ჩრდილოში ვისვენებდი, ამ დროს მოვიდა ერთი ყმაწვილი მედაფე და მკითხა:

— თუ არა ვცდები, შენ მგონი პასკალ ხარ, პანიტას შვილი?

— მართალია, მეც გიცანი, სელეგრე. როდის დასტოვე მალმორი? ერთი მიამბე, რასა შვრებიან ჩემი საცოდავი მშობლები?

სელეგრე ჩემთან შეზრდილი იყო, ჩემი სოფლისა, იმან მიამბო, რომ ჩემს შემდეგ დედა ჩემს ეყოლა მეორე ვაჟი. ლანჟა, მერე მამაჩემი მოკვდა, მაგრამ დედა ჩემი სიღარიბეში აღარ იყო, რადგან მარკიზ ამბრენის ქალმა ადელინამ, რომელიც ავინიონში წმ. ურსულის მონასტრის წინამძღვრად იყო, თავის სიკვდილის შემდეგ დაუტოვა სახნავ-სათესი ადგილი, სადაც სცხოვრობდა ჩვენი ოჯახი. ამ საჩუქრის ამბავი, უეჭველია, დედა ჩემს შეატყობინა კეთილმა ვოკლერმა, რომელიც ამის გამო წავიდა მალმორში და მერე ავინიონში დასახლდა თავის ცოლ-შვილით.

ამ სიტყვების თქმაზე პასკალმა ერთბაშად დალია ერთი ჭიქა ღვინო.

ჩვენი საღამოები გათავდა და ჩვენც დავიშალენით.

Ა. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲤᲡᲙᲘ ᲡᲮ.

მუნდიროსანი.—მემდურებიან, რად სდევნი გაფიცვის თავისუფლებასაო. გაგონილა ამისთანა საძაგლობა? ამ ხნის კაცი ვარ და არ მახსოვს რომ ქათამი მანეთად მეყიდოს, ახლა კი მანეთს მართმევენ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ **ᲒᲠ. Ს. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.**

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲠᲝᲛᲐ“

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲦᲘᲠᲡ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲬᲘᲒ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲥᲐᲠᲗ. ᲐᲛᲮ—ᲡᲐ. ᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲣᲩᲐ—ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 37.